ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ო ქ მ ი N2

სხდომის ჩატარების დრო:

25 ივლისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები: ირაკლი შენგელია, თეა ჯუღელი, მარეხი ნიჟარაძე, ბაქარ მახარაძე, მაია ყუფარაძე, მაკა ცერცვაძე, ლანა თოთაძე, ნოდარ ჯიქია, ლარისა შენგელია, ფიქრია ხაჭაპურიძე, მაკა აბულაძე, ია მაჩიტიძე, ასმათი ჯანგავაძე, თინათინ გელხვიიძე, ნინო ჩიკვაშვილი, ქეთევან ხურციძე, ქეთევან ციბაძე, გრიგოლ შუშანია, ხათუნა არველაძე, ელეონორა არჩაია.

სულ: 28 წევრიდან 21 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მამუკა რიჟამაძე, მანანა ჩიხლაძე, მაია სიმონიძე, ნანა რობაქიძე, მერი გელაშვილი, თინათინ მილორავა, ქეთევან ბერძენიშვილი.

სულ: 7 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საბჭოს წევრები და მოწვეული ექსპერტები: ემა კანკავა (ფონდი „სოხუმი“) და ირმა პავლიაშვილი „ IFES” -ის ექსპერტი).

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ და წარმოადგინა საბჭოს პირველი სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევა, უფლება -მოვალეობების მიმოხილვა/განსაზღვრა.
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმდინარე საკითხები, სამომავლო გეგმები, პრიორიტეტების მიმოხილვა.

დღის წესრიგის პროექტის შესახებ აზრი არ გამოთქმულა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვას.

დღის წესრიგის წარდგენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** მიმართა თხოვნით ქალბატონ **ნინო ჩიკვაშვილს** დაედასტურებინა მზაობა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე. ქალბატონმა ნინომ თანხმობა განაცხადა, შემდეგ კი სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიმართა თხოვნით წარმოედგინათ საბჭოს მდივნის კანდიდატურა.

საბჭოს წევრებმა აღნიშნულ თანამდებობაზე შეჯერების და მოლაპარაკების შედეგად, ასევე საბჭოს წევრი, ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორი, **ქეთევან ციბაძე** დაასახელეს.

კენჭისყრის შედეგად, **ქეთევან ციბაძე** ერთხმად იქნა არჩეული გენდერული საბჭოს მდივნად.

პირველი საკითხის დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარემ დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა და მოკლედ ისაუბრა საბჭოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმდინარე საკითხებზე. **მაგდა კოსტავამ** აღნიშნა რომ ამ კუთხით საკრებულოს დახმარება გამოუთქვა ფონდმა „**სოხუმმა**“, მათ შორის გაფორმდა მემორანდუმი. ხოლო კვლევის საკითხებში საბჭოს დახმარებას გაუწევს საერთაშორისო ორგანიზაცია "IFES"

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების საკითხზე და ამ პროცესში გასავლელ საფეხურებზე დეტალურად ისაუბრა მოწვეულმა ექსპერტმა **ემა კანკავამ**, რომელმაც აღნიშნა რომ, კარგი იქნება თუ სტრატეგიის გეგმის შემუშავების შემდეგ, მოიძებნება ბიუჯეტიც და ეს გეგმები განხორციელდება.

მოწვეულმა ექსპერტმა **ირმა პავლიაშვილმა** აღნიშნა, რომ როდესაც სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს არსებითი მექანიზმების ამუშავებას ქვეყანაში, გენდერული თანასწორობის დასანერგად და ჯერ კიდევ არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპი არის სწორედ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-გენდერულ მექანიზმებს, როგორიც არის მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული საბჭო, მათი საქმიანობა დაფუძნებული იყოს თემატურ მოკვლევებზე. კვლევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ქალთა საჭიროებები ადგილობრივ დონეზე, ასევე საბჭოს საჭიროებები, რათა სტრატეგიაში აისახოს, შემდეგ ამაზე დაფუძნებით შემუშავდეს სამოქმედო გეგმა.

დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** მოკლედ შეაჯამა სხდომა და სამომავლოდ განსახილველ საკითხებს შორის, აქცენტი გააკეთა ორ საკითხზე:

1. საბჭოს, როგორც ინსტიტუციის გაძლიერება;
2. ბენეფიციარების კონკრეტული ჯგუფების შერჩევა და აქტივობების დაგეგმვა ამ ბენეფიციარებისთვის.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს: ირაკლი შენგელიამ, ლარისა შენგელიამ, გრიგოლ შუშანიამ.

ამით გენდერული საბჭოს მეორე სხდომამ მუშაობა დაასრულა

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია საკრებულოს საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ე. კრავიშვილის მიერ.